დანართი №1

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევის წესი და კვოტები

1. ფაკულტეტის საბჭოში აირჩევა აკადემიური პერსონალი ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან (სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებიდან) და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. სტუდენტები შეადგენენ საბჭოში არჩეული აკადემიური პერსონალის ¼–ს. დამრგვალება ხდება სტუდენტთა სასარგებლოდ.
2. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალი აირჩევა ფაკულტეტებზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებში პროფესორების რაოდენობის გათვალისწინებით.
3. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი.
4. ფაკულტეტის საბჭოში ყველა სასაწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს ჰყავს თითო წარმომადგენელი, ხოლო იმ ინსტიტუტებს, რომლებშიც 10-ზე მეტი პროფესორია გაერთიანებული, ერთი წევრით მეტი.
5. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად ფაკულტეტზე დეკანის მიერ იქმნება საარჩევნო კომისია.
6. საარჩევნო კომისიის წევრს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატს. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანმადებობის პირი.
7. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების თარიღის დანიშვნიდან ერთი კვირის განმავლობაში საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პეროსონალი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას მისი საბჭოს წევრობის კანდიდატად დარეგისტრირების თხოვნით.
8. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორთა კრებაზე ღია კენჭისყრით.
9. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. აკადემიურ პერსონალს შეუძლია ხმა მისცეს არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატს;

უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი (კანდიდატები) ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

10. კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
11. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად.
12. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში (დეკანის შემთხვევაში დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში) პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად იმართება განმეორებითი არჩევნები ამ საბჭოს წევრთა არჩევნების ზემოთ წარმოდგენილი პროცედურების დაცვით.
13. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.
14. წინამდებარე წესის მიხედვით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება **37 წევრით.**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრთა კვოტები

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების მიხედვით

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების დასახელება	**წევრთა რაოდენობა საბჭოში**
ქართული ენის ს.ს ინსტიტუტი	**2**
ქართული ლიტერატურის ისტორიის ს.ს ინსტიტუტი	**2**
თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ს.ს ინსტიტუტი	**1**
თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ს.ს ინსტიტუტი	**1**
კავკასიოლოგიის ს.ს ინსტიტუტი	**1**
არქეოლოგიის ს.ს ინსტიტუტი	**1**
ეთნოლოგიის ს.ს ინსტიტუტი	**1**
აღმოსავლეთმცოდნეობის ს.ს ინსტიტუტი	**2**
კულტურის კვლევების ს.ს ინსტიტუტი	**1**
ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ს.ს ინსტიტუტი	**1**
ვიზუალური ხელოვნების ს.ს ინსტიტუტი	**1**
პედაგოგიკის ს.ს ინსტიტუტი	**1**
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს.ს ინსტიტუტი	**1**
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ს.ს ინსტიტუტი	**2**
დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს.ს ინსტიტუტი	**2**
ფილოსოფიის ს.ს ინსტიტუტი	**2**
ამერიკისმცოდნეობის ს.ს ინსტიტუტი	**1**
რუსისტიკის ს.ს ინსტიტუტი ს.ს ინსტიტუტი	**1**
საქართველოს ისტორიის ს.ს ინსტიტუტი	**2**
მსოფლიო ისტორიის ისტორიის ს.ს ინსტიტუტი	**2**
დეკანი	1
სტუდენტი	8
ჯამი	37